

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.

მუხლი 12¹. ტერმინთა განმარტება

„სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილის მიზნებისთვის, ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პროგრამა – „სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი;

ბ) მეწარმე სუბიექტი – 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი;

გ) პროგრამის ბენეფიციარი – მეწარმე სუბიექტი, გარდა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა, რომელსაც პროგრამით განსაზღვრული სარგებლის მიღების მიზნით სააგენტოსთან გაფორმებული აქვს ბენეფიციარის ხელშეკრულება, ამ პროგრამით დადგენილი პირობების შესაბამისად და სააგენტოსთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად და მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) ბიზნესიდეა – მეწარმე სუბიექტის მიერ პროგრამის ფარგლებში პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სააგენტოსთვის ელექტრონული ფორმით წარდგენილი მიმართვა პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;

ე) ბიზნესგეგმა – მეწარმე სუბიექტის მიერ პროგრამის ფარგლებში პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სააგენტოსთვის ელექტრონული ფორმით წარდგენილი პროექტის განხორციელების გეგმა;

ვ) ლოტი – სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული, პროგრამის ფარგლებში გაერთიანებული რამდენიმე სამიზნე ტერიტორიული ერთეული (რეგიონი);

ზ) კონტრაქტორი ორგანიზაცია – ამ პროგრამის შესაბამისად გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობების ფარგლებში პროგრამის კონკრეტული ეტაპის/ეტაპების განხორციელებაზე პასუხისმგებელი კერძო სამართლის იურიდიული პირი ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ პროგრამის მიზნებისათვის შექმნილი ამხანაგობა, გარდა სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილი/მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირისა/იურიდიული პირების ამხანაგობისა;

თ) სააგენტო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – აწარმოე საქართველოში;

ი) კონტრაქტორის ხელშეკრულება – სააგენტოსა და კონტრაქტორს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულება;

კ) ბენეფიციარის ხელშეკრულება – სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს შორის თანადაფინანსების (გრანტის გაცემის) შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება;

ლ) რაუნდი – დროის მონაკვეთი, მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესიდეის წარდგენიდან ბენეფიციარის სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგის ეტაპების ჩათვლით;

მ) ეტაპი – რაუნდის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობები, რომელთა ჩატარების ვადებიც განსაზღვრულია ამ პროგრამის 12³ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გამოცემული სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;

ნ) პროგრამული უზრუნველყოფა – პროგრამის თითოეული ეტაპის აღრიცხვის ერთიანი ელექტრონული სისტემა, მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესიდეის წარდგენიდან ბენეფიციარის ხელშეკრულების დამატებითი მონიტორინგის ჩათვლით;

ო) გრანტი – პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ პროგრამის ბენეფიციარისათვის გამოყოფილი დაფინანსება/თანადაფინანსება;

პ) თანამონაწილეობა – მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესგეგმით გათვალისწინებული პროექტის განსახორციელებლად გახარჯული საკუთარი მინიმალური კონტრიბუციის ოდენობა, არანაკლებ ამ პროგრამის 12⁵ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული მოცულობებისა;

ჟ) კაპიტალური ხარჯი – დანახარჯი, გაწეული ისეთ მატერიალურ ან/და არამატერიალურ აქტივზე (გარდა გუდვილისა), რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოებისთვის, საქონლის მიწოდებისთვის/ მომსახურების გაწევისთვის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისთვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია;

რ) საბრუნავი საშუალება – ხარჯები, რომლებიც არ წარმოადგენენ კაპიტალურ ხარჯს;

ს) გუდვილი – ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS 3) შესაბამისად განსაზღვრული გუდვილი;

ტ) საპილოტე რეგიონი – იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 აგვისტოს დადგენილება №443 – ვებგვერდი, 31.08.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის დადგენილება №180 - ვებგვერდი, 05.04.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №621 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.

მუხლი 12². პროგრამის მიზანი და აღწერა

1. მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დამკვიდრებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ბიზნესის წამოწყებისათვის ან/და არსებულის გადაიარაღებისათვის აუცილებელი ფინანსური მხარდაჭერა და ტექნიკური დახმარება. ასევე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეკონომიკური გავლენის შემცირება.

2. (ამოღებულია - 28.12.2021, №621).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 26.01.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №621 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.

მუხლი 12³. პროგრამის განხორციელების ეტაპები

1. პროგრამის კოორდინაციასა და პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამინისტრო.

2. სააგენტო კონტრაქტორი ორგანიზაციის მეშვეობით ახდენს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პროგრამის თითოეული ეტაპის განხორციელებას, მასთან გაფორმებული

ხელშეკრულებ(ებ)ისა და სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობების შესაბამისად.

3. პროგრამა მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

ა) ბიზნესიდეების მიღება/გადარჩევა;

ბ) ტრენინგი პოტენციურ ბენეფიციარებთან ბიზნესგეგმის შედგენაში;

გ) ბიზნესგეგმების მიღება/გადარჩევა;

დ) ხელშეკრულების გაფორმება გამარჯვებულ მეწარმე სუბიექტებთან.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოთვლილი ძირითადი ეტაპების გარდა, პროგრამა მოიცავს დამატებით ეტაპებსაც.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პროგრამის ჩატარების ძირითად/დამატებით ეტაპებს/ვადებს და პირობებს, ასევე ცალკეულ შემთხვევებში დამატებით მოთხოვნებს როგორც მეწარმე სუბიექტებისათვის/ბენეფიციარებისათვის, ასევე კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის განსაზღვრავს სააგენტო, დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროგრამის ჩატარების ვადების თაობაზე სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №621 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.

4

მუხლი 12 . პროგრამაში მონაწილეობა

1. პროგრამა ხორციელდება სააგენტოს მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

2. ამ პროგრამით განსაზღვრული სარგებლის მიღების შესაძლებლობა აქვს ამავე პროგრამის 2015 – 2018 წლების რაუნდების ფარგლებში არაუმეტეს ერთხელ უკვე დაფინანსებულ ბენეფიციარსაც (პროგრამის არსებული ბენეფიციარი), რომელიც ამ პროგრამით დადგენილი წესის შესაბამისად პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით წარადგენს ბიზნესიდეას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ არსებულ ბენეფიციარად მიიჩნევა ამავე პროგრამის 2015 – 2018 წლების ფარგლებში დაფინანსებული ამხანაგობის წევრი თითოეული ფიზიკური პირი/ინდივიდუალური მეწარმე.

4. ამ პროგრამით განსაზღვრული სარგებლის მიღების შესაძლებლობა არ აქვს ამავე პროგრამის 2020 წლის რაუნდის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციარს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 26.01.2017წ.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №621 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.

მუხლი 12⁵. გრანტის/თანამონაწილეობის მოცულობა და სხვა არსებითი დებულებები

1. სააგენტოს მხრიდან გრანტის მაქსიმალური ოდენობა პროგრამის ბენეფიციარზე განისაზღვრება 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით.

1¹. სააგენტოს მხრიდან გრანტის მაქსიმალური ოდენობა იმ ბენეფიციარებზე, რომელთა ბიზნესის განხორციელების ადგილი მდებარეობს საპილოტე რეგიონებში, განისაზღვრება 40 000 (ორმოცი ათასი) ლარით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხა მეწარმე სუბიექტზე გაცივმა ერთჯერადად, რომლის არანაკლებ 90%-ისა მეწარმე სუბიექტის მიერ მიმართული უნდა იყოს ბიზნესგეგმაში დასახელებული კაპიტალური ხარჯების გასაწევად, ხოლო არაუმეტეს 10%-ისა – ბიზნესგეგმაში დასახელებული საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად.
3. ბიზნესის განხორციელების ადგილის შესაბამისად პროგრამაში თანამონაწილეობის წილი პროგრამის ბენეფიციარისათვის განისაზღვრება გრანტის თანხის არანაკლებ 20 (ოცი) პროცენტით, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილ დასახლებებში – გრანტის თანხის არანაკლებ 10 (ათი) პროცენტით.
4. ბიზნესის განხორციელების ადგილის შესაბამისად პროგრამაში თანამონაწილეობის წილი ამ პროგრამის 12⁴ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი არსებული ბენეფიციარისათვის განისაზღვრება გრანტის თანხის არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) პროცენტით, ხოლო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებით დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილ დასახლებებში – გრანტის თანხის არანაკლებ 25 (ოცდახუთი) პროცენტით.
5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული თანამონაწილეობა პროგრამის ბენეფიციარის/პროგრამის არსებული ბენეფიციარის მიერ განხორციელდება მხოლოდ ფინანსურად, ფულადი სახით. ამ მიზნით, ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმებამდე, მეწარმე სუბიექტი თანამონაწილეობის თანხას განათავსებს საკუთარ (გადასახადის გადამხდელის) საბანკო ანგარიშზე და აღნიშნულის თაობაზე ატყობინებს სააგენტოს, რომლის შემდგომ სააგენტოსა და პროგრამის ბენეფიციარს/პროგრამის არსებულ ბენეფიციარს შორის ფორმდება ბენეფიციარის ხელშეკრულება. მონიტორინგის განხორციელების საფუძველზე თანამონაწილეობის თანხის მიზნობრივად გახარჯვის ფაქტის დადასტურების შემდგომ, სააგენტო განათავსებს გრანტის თანხას აღნიშნული ბენეფიციარის/არსებული ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე.
6. პროექტის განხორციელების მიზნით პირველ რიგში გამოიყენება თანამონაწილეობის თანხა, ხოლო შემდეგ – გრანტის თანხა.
7. ბიზნესიდის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პრიორიტეტები: ა) ახალი ბიზნესის წამოწყება;
ბ) ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
გ) სოფლად ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
დ) მაღალმთიან დასახლებულ პუნქტში ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
ე) იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოება;
ზ) ახალგაზრდა (29 წლის ასაკის ჩათვლით) მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესის წამოწყება/გაფართოება;
თ) განთავსების საშუალებებსა და ტურისტულ სერვისებზე ორიენტირებული პროექტი/მაღალი ინკლუზიურობის მქონე სექტორებზე/ინტელექტუალურ სერვისზე ორიენტირებული პროექტები.
8. სააგენტო უფლებამოსილია მეწარმე სუბიექტს უარი უთხრას ბენეფიციარის ხელშეკრულების გაფორმებაზე, თუკი იგი ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში.

9. პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება:

ა) რელიგიური, პოლიტიკური, საომარი და სხვა მსგავსი აქტივობები;

ბ) ბიოლოგიური აქტივების შექმნა;

გ) სატრანსპორტო საშუალებების შექმნა, რომლებიც განკუთვნილია ადამიანების გადასაცვანად;

დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი წარმოება და მისთვის განკუთვნილი მომსახურება;

ე) ნებისმიერი პროდუქტის ან აქტივობის წარმოება ან ვაჭრობა, რომელიც მიჩნეულია არალეგალურად ქვეყნის კანონმდებლობით ან რეგულაციებით ან საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს, როგორებიცაა:

– ოზონის დამშლელი/გამანადგურებელი ნივთიერებები;

– პოლიკლორირებული ბიფენილი;

– გარეული ჯიშის ცხოველები;

– „გადაშენების პირას მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციით“ (CITES) რეგულირებული სახეობები;

ვ) ზრდასრულთა გასართობი საშუალებების წარმოება ან/და ვაჭრობა (ე. წ. „Production or trade-in adult entertainment“);

ზ) იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოება ან/და ვაჭრობა;

თ) ალკოჰოლური სასმელების წარმოება ან/და ვაჭრობა (ლუდისა და ღვინის გარდა); ი)

თამბაქოს წარმოება ან/და ვაჭრობა;

კ) აზარტული თამაშების, კაზინოებისა და ეკვივალენტური კომპანიების საქმიანობები;

ლ) რადიოაქტიური მასალების წარმოება ან/და ვაჭრობა (ეს არ ეხება სამედიცინო აღჭურვილობის, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) აღჭურვილობისა და ნებისმიერი აღჭურვილობის შექმნას, სადაც რადიოაქტიური წყარო უმნიშვნელოა ან/და ადეკვატურად დაცული;

მ) შეუერთებელი/შეუკვრელი აზბესტის ბოჭკოების წარმოება ან/და ვაჭრობა (აღნიშნული არ ვრცელდება შეკრული აზბესტის ცემენტის ფურცლის შექმნასა და გამოყენებაზე, სადაც აზბესტის შემცველობა 20%-ზე ნაკლებია);

ნ) საზღვაო გარემოში 2,5 კმ-ზე მეტი სიგრძის ბადის გამოყენებით თევზაობა;

ო) წარმოება ან საქმიანობა, რომელიც მოიცავს იძულებითი შრომის საზიანო ან ექსპლუატაციურ ფორმებს/ბავშვებისათვის საზიანო შრომას;

პ) მნიშვნელოვანი მოცულობის საშიში ქიმიკატების წარმოება, ვაჭრობა, შენახვა ან/და ტრანსპორტირება ან/და მათი გამოყენება კომერციული მოხმარებისთვის (საშიში ქიმიკატები მოიცავს ბენზინს, ნავთსა და სხვა ნავთობპროდუქტებს);

ჟ) ტყეების გაჩეხვა ტროპიკული ტენიანი ტყის პირველადი სახით გამოყენების მიზნით;

რ) ხის ან სხვა სატყეო პროდუქტების წარმოება ან ვაჭრობა, გარდა მდგრადად მართვადი ტყეებისა;

ს) ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა ნარჩენებით ან ნარჩენი პროდუქტებით, გარდა გადამუშავებისთვის განკუთვნილი არასახიფათო ნარჩენებისა;

ტ) მდგრადი ორგანული დამაბინძურებელი ნივთიერებების წარმოება ან/და ვაჭრობა;

უ) საქმიანობა, რომელიც მოიცავს ეროვნული პარკის ან მსგავსი დაცული ტერიტორიის მნიშვნელოვან დეგრადაციას;

ფ) საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამსახურში მუშათა/დასაქმებულთა ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დაუცველობას/ შეუსრულებლობას;

ქ) საქმიანობა, რომელიც მოიცავს უძრავი ქონებით სპეკულაციას;

ღ) საქმიანობა, რომელიც მოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართ №1-სა და დანართ №2-ში.

10. პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი ეკონომიკური საქმიანობის სახეები მოცემულია ამ დადგენილების დანართ №7-ში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №621 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.

მუხლი 12⁶. პროგრამის ბიუჯეტი და დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტით სააგენტოსთვის გათვალისწინებული ასიგნებები.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები შესაძლოა, დამატებით დაფინანსდეს საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრებით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.

მუხლი 12⁷. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №621 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.

მუხლი 12⁸. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება №605 – ვებგვერდი, 31.10.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება №235 - ვებგვერდი, 31.05.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №415 - ვებგვერდი, 13.08.2018წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №621 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის დადგენილება №661 - ვებგვერდი, 08.12.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 მაისის დადგენილება №226 – ვებგვერდი, 28.05.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.

ინდუსტრიები

ინდუსტრიები

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი - სეკ 006-2016 (NACE-Rev-2):

ობიექტი ს კოდი	დასახელება
A 03.11.0	საზღვაო თევზჭერა
C 13.10.0	ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა
C 13.20.0	ტექსტილის წარმოება
C 13.30.0	ტექსტილის გაწყობა
C 13.91.0	ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოება
C 13.92.0	ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
C 13.93.0	ხალიჩების და ფარდაგების წარმოება
C 13.94.0	თოკების, ბაგირების და ბადეების წარმოება
C 13.95.0	უქსოვადი ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
C 13.96.0	სხვა ტექნიკური და სამრეწველო ტექსტილის ნაწარმის წარმოება
C 13.99.0	ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C 14.11.0	ტყავის ტანსაცმლის წარმოება
C 14.12.0	სპეცტანსაცმლის წარმოება
C 14.13.0	სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება
C 14.14.0	საცვლების წარმოება
C 14.19.0	სხვა ტანსაცმლის და აქსესუარების წარმოება
C 14.20.0	ბეწვეულის ნაწარმის წარმოება
C 14.31.0	ტრიკოტაჟის და ნაქსოვი წინდების წარმოება
C 14.39.0	ნაქსოვი და ტრიკოტაჟის სხვა ტანსაცმლის წარმოება
C 15.11.0	ტყავის თრიმვლა და გამოქნა; ბეწვეულის გამოქნა და ღებვა
C 15.12.0	საბარგო ჩანთების, ხელჩანთების და მისთ., სასარაჯო-საუნაგრო ნაკეთობების წარმოება
C 15.20.0	ფეხსაცმლის წარმოება
C 16.21.0	შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება
C 16.22.0	ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება
C 16.24.0	ხის ტარის წარმოება
C 16.29.0	ხის სხვა პროდუქტების წარმოება; ნაკეთობების წარმოება კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან

C	17.11.0	ქაღალდის მასის წარმოება
C	17.12.0	ქაღალდის და მუყაოს წარმოება
C	17.21.0	გოფირებული ქაღალდის და მუყაოს, ქაღალდის და მუყაოს ტარის წარმოება
C	17.22.0	საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება
C	17.23.0	ქაღალდის საკანცელარიო საკუთნობის წარმოება
C	17.24.0	შპალერის წარმოება
C	17.29.0	სხვა ნაწარმის წარმოება ქაღალდისა და მუყაოსაგან
C	20.20.0	პესტიციდების და სხვა აგროქიმიური პროდუქტების წარმოება
C	20.30.0	საღებავების, ლაქების და ანალოგიური საღებავი ნივთიერებების, ტიპოგრაფიული საღებავების და მასტიკების წარმოება
C	20.41.0	საპნის და სარეცხი საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება
C	20.42.0	პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოება
C	20.52.0	წებოს წარმოება
C	20.59.0	სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის
C	20.60.0	ხელოვნური ბოჭკოს წარმოება
C	22.11.0	რეზინის საბურავების და კამერების წარმოება; რეზინის საბურავების აღდგენა და კაპიტალური რემონტი
C	22.19.0	რეზინის სხვა ნაწარმის წარმოება
C	22.22.0	პლასტმასის საფუთავების წარმოება
C	25.29.0	ლითონის სხვა ცისტერნების, რეზერვუარების და ტევადობების წარმოება
C	25.71.0	დანისებრი ნაკეთობების წარმოება
C	25.72.0	საკეტების, ანჯამების და სახსრების წარმოება
C	25.73.0	ინსტრუმენტების წარმოება
C	25.91.0	ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება
C	25.92.0	მსუბუქი ლითონის საფუთავების წარმოება
C	25.93.0	მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება
C	25.94.0	სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება
C	25.99.0	ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის
C	26.11.0	ელექტრონული კომპონენტების წარმოება
C	26.12.0	ჩასატვირთი ელექტრონული პლატების წარმოება
C	26.20.0	კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების წარმოება

C	26.30.0	საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოება
C	26.40.0	სამომხმარებლო ელექტრონიკის წარმოება
C	26.51.0	ინსტრუმენტების და ხელსაწყოების წარმოება გაზომვის, ტესტირების და ნავიგაციისათვის
C	26.52.0	საათების წარმოება
C	26.60.0	ირადიაციული, ელექტროსამედიცინო და ელექტროთერაპიული მოწყობილობების წარმოება
C	26.70.0	ოპტიკური ინსტრუმენტების და ფოტოგრაფიული მოწყობილობების წარმოება
C	26.80.0	მაგნიტური და ოპტიკური მედია საშუალებების წარმოება
C	27.11.0	ელექტროძრავების, გენერატორების და ტრანსფორმატორების წარმოება
C	27.12.0	ელექტროგამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის წარმოება
C	27.20.0	ბატარების და აკუმულატორების წარმოება
C	27.31.0	ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების წარმოება
C	27.32.0	სხვა ელექტრონული და ელექტრული გამტარების და კაბელების წარმოება
C	27.33.0	სადენიანი ხელსაწყოების წარმოება
C	27.40.0	ელექტროსანათი მოწყობილობების წარმოება
C	27.51.0	ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება
C	27.52.0	არაელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება
C	27.90.0	სხვა ელექტრული მოწყობილობების წარმოება
C	28.11.0	ძრავების და ტურბინების წარმოება, საფრენი აპარატების, ავტოტრანსპორტის და მოტოციკლების ძრავების გარდა
C	28.12.0	ჰიდრავლიკური და პნევმატური მოწყობილობების წარმოება
C	28.13.0	სხვა ტუმბოების და კომპრესორების წარმოება
C	28.14.0	სხვა ონკანების და სარქველების წარმოება
C	28.15.0	საკისრების, კბილანების, კბილანა გადაცემების და ამძრავების ელემენტების წარმოება
C	28.21.0	ღუმელების და ღუმელების სანთურების წარმოება
C	28.23.0	საოფისე ტექნიკის და მოწყობილობების წარმოება (კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების გარდა)
C	28.24.0	ხელის მექანიზებული ინსტრუმენტების წარმოება
C	28.25.0	არასყოფაცხოვრებო მაცივებელი და სავენტილაციო მოწყობილობების წარმოება
C	28.29.0	საერთო დანიშნულების სხვა მანქანების წარმოებას სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	28.30.0	სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება

C	29.31.0	ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების წარმოება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის
C	29.32.0	სხვა ნაწილების და აქსესუარების წარმოება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის
C	30.12.0	სასეირნო და სპორტული ნაწილების მშენებლობა
C	30.91.0	მოტოციკლების წარმოება
C	30.92.0	ველოსიპედების და ინვალიდების ეტლების წარმოება
C	30.99.0	სხვა სატრანსპორტო საშუალებების და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	31.01.0	ავეჯის წარმოება დაწესებულებების და მაღაზიებისათვის
C	31.02.0	სამზარეულო ავეჯის წარმოება
C	31.03.0	ლეიბების წარმოება
C	31.09.0	სხვა ავეჯის წარმოება
C	32.12.0	ძვირფასეულობის და მასთან დაკავშირებული ნაკეთობების წარმოება
C	32.13.0	ხელოვნური ძვირფასეულობის და მასთან დაკავშირებული ნაკეთობების წარმოება
C	32.20.0	მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება
C	32.30.0	სპორტული საქონლის წარმოება
C	32.40.0	თამაშების და სათამაშოების წარმოება
C	32.50.0	სამედიცინო და სტომატოლოგიური ინსტრუმენტების და ნაკეთობების წარ-მოება
C	32.91.0	ცოცხების და ჯაგრისების წარმოება
C	32.99.0	სხვა ნაწარმის წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	23.31.0	კერამიკული საფარების და ფილების წარმოება
C	23.41.0	კერამიკული საყოფაცხოვრებო და დეკორატიული ნაკეთობების წარმოება
C	23.42.0	კერამიკული სანტექნიკური ნაკეთობების წარმოება

დანართი
№2

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 დეკემბრის დადგენილება №612 - ვებგვერდი, 09.12.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 მარტის დადგენილება №132 - ვებგვერდი, 23.03.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №624 - ვებგვერდი, 30.12.2016წ.
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №493 - ვებგვერდი, 09.11.2017წ.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 ივლისის დადგენილება №316 - ვებგვერდი, 05.07.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება №391 – ვებგვერდი, 02.08.2021წ.

კვალიფიციური ხარჯები

№	კოდი	კვალიფიციური ხარჯის დასახელება	კვალიფიციური ხარჯების ლიმიტი მთლიან კვალიფიციურ ხარჯთან
1	001	აუდიო-ვიზუალური აპარატურის ქირა საქართველოში	100%
2	002	გარდერობის/კოსტუმების დაქირავება	15%
3	003	თმისა და გრიმის სტუდიების მომსახურება	100%
4	004	რეკვიზიტის დაქირავება	100%
5	005	გენერატორების დაქირავება	100%
6	006	გრძობის აღჭურვილობის დაქირავება (თავისი აქსესუარებით)	15%
7	007	განათების აღჭურვილობის დაქირავება (თავისი აქსესუარებით)	15%
8	008	პავილიონების, სტუდიების, სარეპეტიციო დარბაზების, სამკროების (ბუტაფორიული, სადურგლო), სახელოსნოების, სპორტული სასაწყობე ფართების, სცენის, დარბაზების დაქირავება	100%
9	009	საოფისე ფართის დაქირავების, ოფისის ავეჯისა და მოწყობილობების დაქირავება	100%
10	010	საჰაერო და წყლის ტრანსპორტის დაქირავება საქართველოში	15%
11	011	ცხოველების დაქირავება, წვრთნა, კვება, ტრანსპორტირება	100%
12	012	წყლის ავზებისა და მობილური ტუალეტების დაქირავება	100%
13	013	სახელმწიფო და კერძო დაქვემდებარებაში მყოფი სპეცპერსონალისა და სპეცტექნიკის დაქირავება	100%
14	014	სახმელეთო ტრანსპორტის, მანქანებისა და კინოწარმოების ყველა სპეცტრანსპორტის დაქირავება	100%
15	015	უსაფრთხოებისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურებები	100%
16	016	კვება და კატერინგის მომსახურება - საქართველოს ტერიტორიაზე, თუ ეს პირდაპირ კავშირშია საბოლოო პროექტთან	15%
17	017	პროფესიონალური მომსახურება, გაწეული საქართველოში – სადაზღვევო, საბანკო, აუდიტის, საექსპერტო და იურიდიული მომსახურება. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთდამოკიდებული პირის მიერ გაწეული მომსახურებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა	100%
		შემთხვევებში, საბაზრო ფასის დადგენის მიზნით, ექსპერტის მიერ გაწეული მომსახურება	
18	018	სპეცეფექტების მომსახურება - სპეციალისტები და მოწყობილობა	10%

19	019	სპეცმომსახურება – დაივინგი, პარაშუტიდან ხტომა, დელტაპლანისა და ინსტრუქტორის დაქირავება, სამთო მომსახურებასა და კინოწარმოებასთან დაკავშირებული ყველა სპეცმომსახურება	100%
20	020	სამრეცხაოსა და ქიმწმენდის მომსახურება	100%
21	021	გადასადები ადგილების იჯარა და გადაღების უფლების ღირებულება - აუდიო-ვიზუალურ წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული გადასადები ადგილების მფლობელებისთვის (რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირებისთვის) გადასახდელი თანხები საქართველოს ტერიტორიაზე	100%
22	022	დეკორაციების აშენების ან/და მოწყობის მომსახურება	100%
23	023	საქართველოს ტერიტორიაზე პროგრამის ბენეფიციარის ადმინისტრაციული პერსონალის სამივლინებო ხარჯები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	1%
24	024	საქართველოში ცხოვრების, ღამისთვის ხარჯები (მ.შ. სასტუმროს ხარჯები) პერსონალისთვის	15%
24 ¹	024 ¹	(ამოღებულია - 02.08.2021, №391)	
25	025	პერსონალის ხარჯები, რომელშიც შედის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე დაქირავებული პერსონალის (მ.შ. მუშახელის) ხელფასის სახით გაცემული შემოსავლები, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები და მათი საშემოსავლო გადასახადის გადახდა ხდება საქართველოს ბიუჯეტში	60%
26	026	პროგრამის ბენეფიციარის მიერ წამყვან პოზიციებზე დასაქმებული არარეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად გადახდილი ხელფასი, რომელიც დაბეგრულია საშემოსავლო გადასახადით და გადახდილია საქართველოს ბიუჯეტში. წამყვან პოზიციებზე დასაქმებულში იგულისხმება: მსახიობი – მთავარი როლის შემსრულებელი ან შემსრულებლები; პროდიუსერი; რეჟისორი; დეპარტამენტის ხელმძღვანელები	15%
27	027	მგზავრობის ხარჯები (მხოლოდ საქართველოში)	5%
28	028	საწვავის ხარჯები (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის №230 ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით)	5%
29	029	კომუნალური ხარჯი	1.5%
30	030	ტელეკომუნიკაციის ხარჯები - ტელეფონის, მობილური ტელეფონის, ინტერნეტისა და ფაქსის გადასახადები საქართველოში; რაციების დაქირავება	2%
31	031	გამოსახულების მონტაჟი	100%
32	032	ანიმაცია	100%
33	033	ვიზუალური ეფექტების (VFX) მომსახურება	100%
34	034	ფერის კორექცია	100%
35	035	მუსიკის ჩაწერა	100%

36	036	ხმაურების ჩამწერი სტუდიის დაქირავება	100%
37	037	გამოსახულების რენდერი	100%
38	038	ხმის ჩამწერი სტუდიების დაქირავება (ფილმისთვის ხმის ჩაწერა)	100%
39	039	თარგმანი	100%
40	040	სუბტიტირება	100%
41	041	საქართველოში გაწეული ლაბორატორიული ხარჯები	100%
42	042	დისტრიბუციისა და გაყიდვების კომპანიისათვის მისაწოდებელ ფილმთან დაკავშირებული პაკეტების შექმნა (deliverables)	100%
43	043	კასტინგის მომსახურება	100%
44	044	ტალანტის სააგენტოების მომსახურება	60%

დანართი №7

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №626 – ვებგვერდი, 23.12.2019წ.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 ივნისის დადგენილება №354 – ვებგვერდი, 05.06.2020წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №621 – ვებგვერდი, 28.12.2021წ.

C	10.11.0	ხორცის გადამამუშავება და დაკონსერვება
C	10.12.0	შინაური ფრინველის ხორცის გადამამუშავება და დაკონსერვება
C	10.13.0	ხორცის პროდუქტების წარმოება
C	10.20.0	თევზის, კიბოსნაირებისა და მოლუსკების გადამამუშავება და დაკონსერვება
C	10.31.0	კარტოფილის გადამამუშავება და დაკონსერვება
C	10.32.0	ხილისა და ბოსტნეულის წვენების წარმოება
C	10.39.0	ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებისა და კონსერვირების სხვა სახეები
C	10.41.0	ზეთებისა და ცხიმების წარმოება
C	10.42.0	მარგარინისა და მსგავსი საკვები ცხიმების წარმოება
C	10.51.0	რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება
C	10.52.0	ნაყინის წარმოება
C	10.61.1	ფქვილის წარმოება
C	10.61.9	საფქველ-ბურღულეული სხვა პროდუქტების წარმოება
C	10.62.0	სახამებლებისა და სახამებელი პროდუქტების წარმოება
C	10.71.1	პურის წარმოება
C	10.71.2	არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება
C	10.72.0	ორცხოვნილებისა და მშრალი ნამცხვრების წარმოება; ხანგრძლივი შენახვის ცომეული საკონდიტრო ნაწარმისა და ნამცხვრების წარმოება

C	10.73.0	მაკრონის, ატრის, კუსკუსისა და მსგავსი ცომეული პროდუქტების წარმოება
C	10.81.0	შაქრის წარმოება
C	10.82.0	კაკაოს, შოკოლადისა და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის წარმოება
C	10.83.1	ჩაის გადამუშავება
C	10.83.2	ყავის გადამუშავება
C	10.84.0	სუნელ-სანელებლებისა და საკაზმ-სანელებლების წარმოება
C	10.85.0	კვების მზა პროდუქტებისა და კერძების წარმოება
C	10.86.0	ჰომოგენიზებული საკვები პრეპარატების და დიეტური საკვები პროდუქტების წარმოება
C	10.89.0	სხვა კვების პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	10.91.0	მზა საკვების წარმოება ფერმის ცხოველებისათვის
C	10.92.0	მზა საკვების წარმოება შინაური ცხოველებისათვის
C	11.02.0	ღვინის წარმოება ყურძნისაგან
C	11.03.0	სიდრის და სხვა ხილის ღვინოების წარმოება
C	11.04.0	სხვა არადისტილირებული, ფერმენტირებული სასმელების წარმოება
C	11.07.1	მინერალური წყლების წარმოება
C	11.07.2	უალკოჰოლო არომატიზებული და/ან დამტკბარი სასმელების წარმოება, როგორცაა: ლიმონათი, ხილის სასმელები, კოლა, ორანჟადი, ტონიკები და მისთ.
C	11.07.3	მტკნარი სასმელი წყლის წარმოება
C	13.10.0	ტექსტილის ბოჭკოს მომზადება და დართვა
C	13.20.0	ტექსტილის წარმოება
C	13.30.0	ტექსტილის გაწყობა
C	13.91.0	ნაქსოვი და ტრიკოტაჟის ქსოვილების წარმოება
C	13.92.0	ტექსტილის მზა ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
C	13.93.0	ხალიჩების და ფარდაგების წარმოება
C	13.94.0	თოკების, ბაგირების და ბადეების წარმოება
C	13.95.0	უქსოვადი ნაწარმის წარმოება, ტანსაცმლის გარდა
C	13.96.0	სხვა ტექნიკური და სამრეწველო ტექსტილის ნაწარმის წარმოება
C	13.99.0	ტექსტილის სხვა ნაწარმის წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	14.11.0	ტყავის ტანსაცმლის წარმოება
C	14.12.0	სპეცტანსაცმლის წარმოება
C	14.13.0	სხვა ზედა ტანსაცმლის წარმოება
C	14.14.0	საცვლების წარმოება
C	14.19.0	სხვა ტანსაცმლის და აქსესუარების წარმოება
C	14.20.0	ბეწვეულის ნაწარმის წარმოება
C	14.31.0	ტრიკოტაჟის და ნაქსოვი წინდების წარმოება

C	14.39.0	ნაქსოვი და ტრიკოტაჟის სხვა ტანსაცმლის წარმოება
C	15.11.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	15.12.0	საბარგო ჩანთების, ხელჩანთების და მისთ., სასარაჯო-საუნაგრო ნაკეთობების წარმოება
C	15.20.0	ფეხსაცმლის წარმოება
C	16.10.0	ხის ხერხვა და რანდვა

C	16.21.0	შპონის ფურცლების და ხის პანელების წარმოება
C	16.22.0	ასაწყობი იატაკის საფარების წარმოება
C	16.23.0	მშენებლობაში გამოსაყენებელი სხვა სახეობის და სადურგლო ნაკეთობების წარმოება
C	16.24.0	ხის ტარის წარმოება
C	16.29.0	ხის სხვა პროდუქტების წარმოება; ნაკეთობების წარმოება კორპის, ჩალის და წნული მასალებისაგან
C	17.11.0	ქაღალდის მასის წარმოება
C	17.12.0	ქაღალდის და მუყაოს წარმოება
C	17.21.0	გოფირებული ქაღალდის და მუყაოს, ქაღალდის და მუყაოს ტარის წარმოება
C	17.22.0	საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება
C	17.23.0	ქაღალდის საკანცელარიო საკუთნობების წარმოება
C	17.24.0	შპალერის წარმოება
C	17.29.0	სხვა ნაწარმის წარმოება ქაღალდისა და მუყაოსაგან
C	18.11.0	გაზეთების ბეჭდვა
C	18.12.0	სხვა ბეჭდვითი საქმიანობა
C	18.13.0	ბეჭდვის და ინფორმაციის გავრცელების მოსამზადებელი მომსახურება
C	18.14.0	საამკინძაო და მასთან დაკავშირებული მომსახურება
C	18.20.0	მედია-ჩანაწერების აღწარმოება
C	20.16.0	პლასტმასის წარმოება პირველად ფორმებში
C	20.17.0	სინთეზური კაუჩუკის წარმოება პირველად ფორმებში
C	20.20.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	20.30.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	20.41.0	საპნის და სარეცხი საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება
C	20.42.0	პარფიუმერული და ტუალეტის საშუალებების წარმოება
C	20.52.0	წებოს წარმოება
C	20.53.0	ეთერზეთების წარმოება
C	20.59.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	21.20.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	22.11.0	რეზინის საბურავების და კამერების წარმოება; რეზინის საბურავების აღდგენა და კაპიტალური რემონტი
C	22.19.0	რეზინის სხვა ნაწარმის წარმოება
C	22.21.0	პლასტმასის ფილების, ფურცლების, მილების და პროფილების წარმოება
C	22.22.0	პლასტმასის საფუთავების წარმოება
C	22.23.0	პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება
C	22.29.0	პლასტმასის სხვა ნაწარმის წარმოება

C	23.11.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.12.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.13.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.14.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.19.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)

C	23.20.0	ცეცხლგამძლე ნაწარმის წარმოება
C	23.31.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.32.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.41.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.42.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.43.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.44.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.49.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.51.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.52.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.61.0	ბეტონის პროდუქციის წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის
C	23.62.0	ბათქაშის პროდუქტების წარმოება სამშენებლო მიზნებისათვის
C	23.63.1	ბეტონის წარმოება
C	23.63.2	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.64.0	ნარეკების წარმოება
C	23.65.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.69.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	23.70.0	ქვის ჭრა, დამუშავება და მოპირკეთება
C	23.91.0	აბრაზიული პროდუქტების წარმოება
C	23.99.0	სხვა არალითონური მინერალური პროდუქტების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	24.10.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	24.20.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	24.41.0	ძვირფასი ლითონების წარმოება
C	24.42.0	ალუმინის წარმოება
C	24.43.0	ტყვიის, თუთიის და კალის წარმოება
C	24.44.0	სპილენძის წარმოება
C	24.45.0	სხვა ფერადი ლითონების წარმოება
C	24.51.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	24.52.0	(ამოღებულია - 28.12.2021, №621)
C	24.53.0	მსუბუქი ლითონების ჩამოსხმა

C	24.54.0	სხვა ფერადი ლითონების ჩამოსხმა
C	25.11.0	ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების და ნაწილების წარმოება
C	25.12.0	ლითონის კარების და ფანჯრების წარმოება
C	25.21.0	ცენტრალური გათბობის რადიატორების და ბოილერების წარმოება
C	25.29.0	ლითონის სხვა ცისტერნების, რეზერვუარების და ტევადობების წარმოება
C	25.30.0	ორთქლის გენერატორების წარმოება, ცენტრალური გათბობის ცხელი წყლის ბოილერების გარდა
C	25.50.0	ლითონის ჭედვა, წნეხა, შტამპვა და გლინვა; ფხვნილოვანი მეტალურგია
C	25.61.0	ლითონის დამუშავება და დაფარვა
C	25.71.0	დანისებრი ნაკეთობების წარმოება
C	25.72.0	საკეტების, ანჯამების და სახსრების წარმოება
C	25.73.0	ინსტრუმენტების წარმოება
C	25.91.0	ლითონის კასრების და მსგავსი ტევადობების წარმოება
C	25.92.0	მსუბუქი ლითონის საფუთავების წარმოება
C	25.93.0	მავთულის ნაწარმის, ჯაჭვების და ზამბარების წარმოება
C	25.94.0	სამაგრების და ხრახნსაჭრელი ჩარხების ნაკეთობების წარმოება
C	25.99.0	ლითონის სხვა მზა ნაკეთობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის
C	26.11.0	ელექტრონული კომპონენტების წარმოება
C	27.40.0	ელექტროსანათი მოწყობილობების წარმოება
C	27.51.0	ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება
C	27.52.0	არაელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების წარმოება
C	27.90.0	სხვა ელექტრული მოწყობილობების წარმოება
C	30.12.0	სასეირნო და სპორტული ნაწილების მშენებლობა
C	30.91.0	მოტოციკლების წარმოება
C	30.92.0	ველოსიპედების და ინვალიდების ეტლების წარმოება
C	31.01.0	ავეჯის წარმოება დაწესებულებებისა და მაღაზიებისათვის
C	31.02.0	სამზარეულო ავეჯის წარმოება
C	31.03.0	ლეიბების წარმოება
C	31.09.0	სხვა ავეჯის წარმოება
C	32.12.0	ძვირფასეულობის და მასთან დაკავშირებული ნაკეთობების წარმოება
C	32.13.0	ხელოვნური ძვირფასეულობის და მასთან დაკავშირებული ნაკეთობების წარმოება
C	32.20.0	მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება
C	32.30.0	სპორტული საქონლის წარმოება
C	32.40.0	თამაშების და სათამაშოების წარმოება
C	32.50.0	სამედიცინო და სტომატოლოგიური ინსტრუმენტების და ნაკეთობების წარმოება
C	32.91.0	ცოცხების და ჯაგრისების წარმოება

C	32.99.0	სხვა ნაწარმის წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
C	33.11.0	ლითონის მზა ნაწარმის რემონტი
C	33.12.0	მანქანების და მოწყობილობების რემონტი
C	33.13.0	ელექტრონული და ოპტიკური მოწყობილობების რემონტი
C	33.14.0	ელექტრული მოწყობილობების რემონტი
C	33.15.0	გემების და ნავების რემონტი და ტექნიკური მომსახურება
C	33.17.0	სხვა სატრანსპორტო საშუალებების რემონტი და ტექნიკური მომსახურება
C	33.19.0	სხვა მოწყობილობების რემონტი
C	33.20.0	სამრეწველო ტექნიკის და მოწყობილობების დაყენება
E	38.11.0	არასახიფათო ნარჩენების შეროვება
E	38.21.0	არასახიფათო ნარჩენების დამუშავება და მოცილება
E	39.00.0	დაბინძურებისაგან გასუფთავება და ნარჩენების მართვის სხვა მომსახურება
F	41.10.0	სამშენებლო პროექტების შემუშავება
F	43.21.0	ელექტროტექნიკური და სამონტაჟო სამუშაოები

F	43.22.0	წყალგაყვანილობის, გათბობის და ჰაერის კონდიციონირების სისტემების მონტაჟი
F	43.29.0	სხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები
F	43.31.0	საბათქაშე სამუშაოები
F	43.32.0	სადურგლო და სახურო სამუშაოები
F	43.33.0	იატაკის დაგება და კედლის მოსაპირკეთებელი სამუშაოები
F	43.34.1	მინის სამუშაოები
F	43.34.2	სამღებრო სამუშაოები
F	43.39.0	სხვა მოსაპირკეთებელი სამუშაოები
F	43.91.0	გადახურვის სამუშაოები
G	45.20.0	ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი
G	45.32.0	საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით
G	45.40.0	მოტოციკლების, მათი ნაწილების და აქსესუარების გაყიდვა, ტექნიკური მომსახურება და რემონტი
G	47.11.0	საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით
G	47.19.0	სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.21.0	საცალო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.22.0	საცალო ვაჭრობა ხორცი და ხორცის პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.23.0	საცალო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.24.0	საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.25.0	საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

G	47.26.0	საცალო ვაჭრობა თამბაქოს ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.29.0	საცალო ვაჭრობა სხვა საკვები პროდუქტებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.30.9	საცალო ვაჭრობა საპოხი, საცივებელი პროდუქტებით და სხვა საავტომობილო სათბობით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.42.0	საცალო ვაჭრობა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.43.0	საცალო ვაჭრობა აუდიო- და ვიდეომოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.51.0	საცალო ვაჭრობა ტექსტილით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.52.0	საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებით და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.53.0	საცალო ვაჭრობა ხალიჩებით, ფარდაგებით, კედლის და იატაკის საფარებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.54.0	საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.59.1	საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით
G	47.59.2	საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ჭურჭლით, თიხის ჭურჭლით, ფაიფურით და სამზარეულოს საკუთნოებით
G	47.59.3	საცალო ვაჭრობა არაელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით
G	47.59.4	საცალო ვაჭრობა მუსიკალური ინსტრუმენტებით და პარტიტურებით
G	47.59.9	საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
G	47.61.0	საცალო ვაჭრობა წიგნებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.62.0	საცალო ვაჭრობა გაზეთებით, ჟურნალებით და საკანცელარიო ნივთებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

G	47.63.0	საცალო ვაჭრობა მუსიკალური და ვიდეოჩანაწერებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.64.0	საცალო ვაჭრობა სპორტული მოწყობილობებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.65.0	საცალო ვაჭრობა თამაშებით და სათამაშოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.71.0	საცალო ვაჭრობა ტანსაცმლით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.72.1	საცალო ვაჭრობა ფეხსაცმლით
G	47.72.2	საცალო ვაჭრობა ტყავის ნაწარმით
G	47.73.0	საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.74.0	საცალო ვაჭრობა სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.75.0	საცალო ვაჭრობა კოსმეტიკური და ტუალეტის ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.76.0	საცალო ვაჭრობა ყვავილებით, მცენარეებით, თესლით, სასუქებით, შინაური ცხოველებით და შინაური ცხოველების საკვებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.77.0	საცალო ვაჭრობა საათებით და ძვირფასეულობით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.78.0	საცალო ვაჭრობა სხვა ახალი საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში
G	47.79.1	საცალო ვაჭრობა ანტიკვარიატით

G	47.79.2	საცალო ვაჭრობა ნახმარი წიგნებით
G	47.79.3	საცალო ვაჭრობის აუქციონების საქმიანობა
G	47.79.4	საცალო ვაჭრობა სხვა ნახმარი საქონლით
G	47.91.1	საცალო ვაჭრობა საფოსტო შეკვეთით ან ინტერნეტის საშუალებით
G	47.91.2	ინტერნეტ-აუქციონების საცალო ვაჭრობა
H	52.10.0	დასაწყობება და შენახვა
H	53.20.0	სხვა საფოსტო და საკურიერო მომსახურება
I	55.10.1	სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით
I	55.10.2	სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე
I	55.20.0	დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები
I	55.30.0	კემპინგის მოედნები, ავტოფურგონების მოედნები და ტრეილერ-პარკები
I	55.90.0	სხვა განთავსების საშუალებები
I	56.10.0	რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები
I	56.21.0	საკვების მიწოდება ღონისძიებებისათვის
I	56.29.0	საკვებით მომსახურების სხვა საქმიანობები
I	56.30.0	სასმელებით მომსახურების საქმიანობები
J	58.11.0	წიგნების გამოცემა
J	58.12.0	ცნობარების და სამისამართო სიების გამოცემა
J	58.13.0	გაზეთების გამოცემა
J	58.14.0	ჟურნალების და პერიოდიკის გამოცემა
J	58.19.0	საგამომცემლო საქმიანობის სხვა სახეები
J	58.21.0	კომპიუტერული თამაშების გამოცემა
J	58.29.0	სხვა პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა
J	59.11.0	კინოფილმების, ვიდეო- და სატელევიზიო პროგრამების წარმოება
J	59.14.0	კინოფილმების ჩვენება
J	59.20.0	ხმის ჩაწერის და მუსიკალური ჩანაწერების საგამომცემლო საქმიანობები
J	62.01.0	კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები
M	69.10.9	სხვა იურიდიული საქმიანობები
M	69.20.0	სააღრიცხვო, საბუღალტრო და სააუდიტო საქმიანობები; საგადასახადო კონსულტირება
M	70.22.0	საკონსულტაციო საქმიანობები ბიზნესის და მართვის სხვა საკითხებში
M	71.11.0	არქიტექტურული საქმიანობები
M	71.12.0	საინჟინრო საქმიანობები და მათთან დაკავშირებული ტექნიკური კონსულტირება
M	71.20.0	ტექნიკური გამოცდები და ანალიზები
M	72.11.0	კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები ბიოტექნოლოგიაში

M	72.19.0	სხვა კვლევები და ექსპერიმენტული დამუშავებები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებებში
M	73.11.0	სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა
M	74.10.0	სპეციალიზებული დიზაინერული საქმიანობები
M	74.20.0	ფოტოგრაფიული საქმიანობები
M	74.30.0	მთარგმნელობითი (წერილობითი და ზეპირი) საქმიანობები
M	74.90.0	სხვა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
M	75.00.0	ვეტერინარული საქმიანობები
N	78.10.0	დასაქმების სააგენტოების საქმიანობები
N	79.11.0	ტურისტული სააგენტოების საქმიანობები
N	79.12.0	ტურ-ოპერატორების საქმიანობები
N	79.90.0	დაჯავშნის სხვა მომსახურება და მასთან დაკავშირებული საქმიანობები
N	81.10.0	ობიექტების კომპლექსური დამხმარე მომსახურება
N	81.21.0	შენობების საერთო დასუფთავება
N	81.29.0	დასუფთავების სხვა საქმიანობები
N	82.11.0	კომპლექსური საოფისე ადმინისტრაციული მომსახურების საქმიანობები
N	82.19.0	ფოტოასლგადამღები, დოკუმენტების მოსამზადებელი და სხვა სპეციალიზებული საოფისე დამხმარე საქმიანობები
N	82.20.0	სატელეფონო ცენტრების მომსახურება
N	82.30.0	კონფერენციების და სავაჭრო გამოფენების ორგანიზება
N	82.92.0	შეფუთვის საქმიანობები
P	85.10.0	ადრეული და სკოლამდელი განათლება
P	85.51.0	განათლება სპორტის და დასვენების სფეროში
P	85.52.0	განათლება კულტურის სფეროში
P	85.53.0	სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების მოსამზადებელი სკოლების საქმიანობები
P	85.59.0	სხვა განათლება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
P	85.60.0	დამხმარე საგანმანათლებლო საქმიანობები
Q	87.30.0	რეზიდენტული მოვლის საქმიანობები ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის
Q	88.91.0	ბავშვთა დღიური მოვლის საქმიანობები
R	90.03.0	მხატვრული შემოქმედება
R	91.01.0	ბიბლიოთეკების და არქივების საქმიანობები
R	93.11.0	სპორტული ობიექტების საქმიანობები

R	93.13.0	ფიტნესის ობიექტები
R	93.19.0	სხვა სპორტული საქმიანობები
R	93.21.0	გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები
R	93.29.0	გართობის და დასვენების სხვა საქმიანობები
S	95.11.0	კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი
S	95.12.0	საკომუნიკაციო მოწყობილობების რემონტი
S	95.21.0	საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის რემონტი
S	95.22.0	საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების, სახლის და ბადის მოწყობილობების რემონტი
S	95.23.0	ფეხსაცმლის და ტყავის ნაწარმის რემონტი
S	95.24.0	ავეჯის და საოჯახო საკუთნოების რემონტი
S	95.25.0	საათების და ძვირფასეულობის რემონტი
S	95.29.0	სხვა პირადი და საყოფაცხოვრებო საგნების რემონტი
S	96.01.0	ტექსტილის და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა
S	96.02.0	საპარიკმახეროების და სხვა სილამაზის სალონების მომსახურება
S	96.03.0	დაკრძალვა და მასთან დაკავშირებული საქმიანობები
S	96.04.0	გამაჯანსაღებელი საქმიანობები
S	96.09.0	სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.